ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4409763

ნომერი: AR1667300

თარიღი : 12.03.2019

გაცემის თარიღი : 12.03.2019

გაცნობის თარიღი : 13.03.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძის I შესახვევი, N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით მახარაშვილი პ/ნ 01007015782
- თევდორე მღვდლის 48

ორგანიზაცია:
- ესა "ვაჟა-ფშაველა 2007" კოდი: 205185244

ნომენკლატურა :
- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 11 მარტის № 4406036 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 12 მარტს №AR1667300 განცხადებით მომართა დავით მახარაშვილმა. განმცხადებელმა მოითხოვა სამსახურის 2019 წლის 11 მარტის № 4406036 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება მესაკუთრის მითითებასთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 11 მარტის № 4406036 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, პეტრე ქავთარაძის ქუჩა №26-ში, შპს ,,კასა დეველოპმენტ"-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.14.03.040.354), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, (განცხადების რეგისტრაცია: N 882017517437 - 15/06/2017; მომზადების თარიღი: 21/06/2017) ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა №26-ში, N 01.14.03.040.354 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ,,ბანი 2007'' (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206316388).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 11 მარტის № 4406036 ბრძანებაში მესაკუთრის მითითებასთან დაკავშირებით დაშვებულია ტექნიკური შეცდომა და შესაბამისად, არსებობს შეცდომის გასწორების სამართლებრივი საფუძველი.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის სამსახურის 2019 წლის 11 მარტის № 4406036 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 11 მარტის № 4406036 ბრძანებაში და ბრძანების სარეზოლუციო ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,შეთანხმდეს ქ. თბილისში, სექტორი ვაკე, პეტრე ქავთარაძის ქუჩა №26-ში, შპს ,,ბანი 2007''-ის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 206316388) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.14.03.040.354), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი''.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 11 მარტის № 4406036 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 11 მარტის № 4406036 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.